

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს **MUK** თბილისი

31 დეკემბერი, 2018 .

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგების / ზარალის და სხვა კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგება	6
დადებით სალდოში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „MUK-Tbilisi“-ს აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „MUK-Tbilisi“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების/ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, დადებით სალდოში ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული

აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი სახით, რათა მიღწეულ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან ისეთ თემებზე, როგორიცაა აუდიტის მასშტაბი, ვადები და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებები.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

30 სექტემბერი, 2019 წ.

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშ ნვა	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ქონება და აღჭურვილობა	4	168,022	178,930
არამატერიალური აქტივები		9,576	9,969
		<u>177,598</u>	<u>188,899</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	5	4,239,144	2,552,532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	11,100,442	4,215,018
საგადასახადო აქტივები (გარდა საშემოსავლო გადასახადისა)	7	313,042	413,277
საგადასახადო აქტივები (საშემოსავლო გადასახადი)		1,975	1,975
გადახდილი ავანსები		205,834	39,212
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,991,298	771,857
		<u>18,851,735</u>	<u>7,993,871</u>
სულ აქტივები		<u>19,029,333</u>	<u>8,182,770</u>
ვალდებულებები და დადებითი სალდო			
საწესდებო კაპიტალი		333,380	333,380
Accumulated profit		2,650,638	1,302,161
		<u>2,984,018</u>	<u>1,635,541</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	12,131,446	5,337,629
მიღებული სესხები	10	2,676,600	-
მიღებული ავანსები		641,166	220,053
გადასახდელი დივიდენდები		446,800	892,637
საგადასახადო ვალდებულებები (საშემოსავლო გადასახადი)		149,303	96,910
		<u>16,045,315</u>	<u>6,547,229</u>
სულ ვალდებულებები და დადებითი სალდო		<u>19,029,333</u>	<u>8,182,770</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ამირან კოპალეიშვილი
დირექტორი

გიორგი ჩაგუნავა
ბუღალტერი

9-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგების / ზარალის და სხვა კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგება

ვალუტა: ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი		50,990,891	26,346,237
გაყიდვების ღირებულება		(45,799,183)	(23,972,244)
შემოსავალი ბრუტო		5,191,708	2,373,993
სხვა შემოსავალი	12	90,933	-
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,024,783)	(1,451,401)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები		(118,037)	(224,441)
სხვა ხარჯები		(2,378)	(501)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		3,137,443	697,650
ფინანსური ხარჯი		(111,952)	(2,246)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	14	(375,079)	371,093
დაუბეგრავი მოგება		2,650,412	1,066,497
მოგების გადასახადი		-	-
წლიური მოგება		2,650,412	1,066,497
სხვა კონსოლიდირებული შემოსავალი		-	-
სულ წლის კონსოლიდირებული შემოსავალი		2,650,412	1,066,497

9-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოგების / ზარალის და სხვა კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დადებით სალდოში ცვლილების ანგარიშგება

ვალუტა: ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	333,380	1,416,088	1,749,468
წლიური მოგება	-	1,066,497	1,066,497
სულ წლის კონსოლიდირებული შემოსავალი	-	1,066,497	1,066,497
დივიდენდები	-	(1,180,424)	(1,180,424)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(1,180,424)	(1,180,424)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	333,380	1,302,161	1,635,541
კორექტირება ბასს-9-ის და ბასს-15-ის მიღების შედეგად	-	(472,386)	(472,386)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	333,380	829,775	1,163,155
წლიური მოგება	-	2,650,412	2,650,412
სულ წლის კონსოლიდირებული შემოსავალი	-	2,650,412	2,650,412
დივიდენდები	-	(829,549)	(829,549)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(829,549)	(829,549)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	333,380	2,650,638	2,984,018

თავდაპირველად ფასს 9-ის გამოყენების შედეგად, საჭირო გახდა დაუნაწილებელი მოგების კორექტირება 472,386 ლარით.

9-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს დადებით სალდოში ცვლილების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ვალუტა: ლარი	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
კლიენტებისგან მიღებული ფულადი ნაკადები	51,724,205	29,999,136
მომწოდებლისთვის გადახდილი ნაღდი ფული	(42,037,445)	(23,587,177)
თანამშრომელთა სარგებელი	(1,998,416)	(883,492)
სხვა გადასახადები	(6,298,833)	(4,543,104)
სხვა გადასახდელები	(119,395)	(63,508)
<i>სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>1,270,116</u>	<u>921,855</u>
გაცემული სესხები	(729,510)	(656,450)
გაცემული სესხების მიღება	737,251	643,775
ანგარიშსწორება შეძენილი ქონებისა და აღჭურვილობისთვის	(6,214)	(22,731)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>1,527</u>	<u>(35,406)</u>
სესხების მიღება	6,370,640	2,017,700
სესხების დაფარვა	(3,877,068)	(2,006,560)
გადახდილი პროცენტი	(111,952)	-
გადახდილი დივიდენდები	(1,275,386)	(228,766)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<u>1,106,234</u>	<u>(217,626)</u>
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	2,377,877	668,823
კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(158,436)	(106,772)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	771,857	209,806
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	<u>2,991,298</u>	<u>771,857</u>

9-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 კომპანიის საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს MUK-Tbilisi (საიდენტიფიკაციო კოდი: 404918531) გახლავთ თბილისში 2011 წლის 17 ნოემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა 4. შპს MUK-Tbilisi ახდენს მსოფლიოს წამყვანი ტექნოლოგიური ბრენდების (მაგალითად HP, DELL-EMC, IBM, Oracle, Lenovo და ა.შ.) პროდუქციის დისტრიბუციას. სადისტრიბუციო კონტრაქტები ფარავს არა მარტო საქართველოს ტერიტორიას, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიას და შუა აღმოსავლეთს. შპს MUK-Tbilisi ეხმარება პარტნიორებს მიღებული შეკვეთების სათანადოდ დაკმაყოფილებაში საუკეთესო ფასად. სავალდებულო გაყიდვების სფეროში შპს MUK-Tbilisi უზრუნველყოფს საოფისე და საყოფაცხოვრებო კომპიუტერული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას, რადგანაც კომპანია ფლობს პროდუქციის დიდ ადგილობრივ მარაგს ფართო ასორტიმენტით. საერთაშორისო გაყიდვების კუთხით, კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს შეკვეთის მოწოდების პროცესის ოპტიმალურ გადაწყვეტას. შპს MUK-Tbilisi-ს შემოსავლის 70%-ს შეადგენს საქართველოს ბაზარზე განხორციელებული გაყიდვები, ხოლო 30%-ს - საერთაშორისო გაყიდვები. მომწოდებლის რეგისტრაციის ქვეყნების 80% მდებარეობს ევროპაში, 15% - აზიაში, ხოლო 5% - ჩრდილოეთ ამერიკაში.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს: 28 ადამიანი (2017 წელს: 25 დასაქმებული).

2 მომზადების საფუძველი

2.1 არსებულ სტანდარტებთან თავსებადობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად, იმ ვარაუდით, რომ კომპანიის საქმიანობა უწყვეტად წარიმართება.

2018 წელს კომპანიამ შემოიღო კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვის ახალი მეთოდები (იხ. შენიშვნა 2.5). ეს მეთოდი გულისხმობს რეტროსპექტიულ კორექტირებას, რომლის მიხედვითაც არსებითი ცვლილებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აისახება ერთიანად როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთი. შესაბამისად, კომპანიას აღარ ესაჭიროება მოცემული თარიღით ფინანსური მდგომარეობის მესამე ანგარიშის წარდგენა.

გარდა ამისა, კომპანიამ შემოიღო ახალი მეთოდი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით (იხ. შენიშვნა 2.5). ამ მეთოდის წყალობით, ორგანიზაციას ეძლევა საშუალება აღარ გადააკეთოს წინა პერიოდების ანგარიშგება. ბასს-9-ის შემოღებით გამოწვეული სხვაობები აქტივების კლასიფიკაციაში, შეფასებაში და გაუფასურებაში აისახება დაუნაწილებელი მოგების სახით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული საფინანსო ინსტრუმენტებისა, რომლებიც აღრიცხულია სამომავლო ფულადი ნაკადების ფასდაკლებული ღირებულებით.

2.3 შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას, რადგანაც ის საუკეთესოდ ასახავს კომპანიის თანხლები მოვლენების და კომპანიის ტრანზაქციების ეკონომიკურ არსს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2.4 შეფასებები და გადაწყვეტილებების მიღება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების დაცვით მოითხოვს მენეჯმენტისგან კრიტიკული ბითალტრული შეფასებების და გადაწყვეტილებების მიღებას. ფასს-ები მოითხოვს მენეჯმენტისგან მნიშვნელოვანი ბუთალტრული შეფასებების და გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, ისე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ბუთალტრული აღრიცხვის სფეროები, სადაც შეფასებებს და გადაწყვეტილებებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშგების სურათის შექმნის თვალსაზრისით, ჩამოთვლილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში 16.1.

2.5 ახალი სტანდარტების, შესწორებების და ინტერპრეტაციების აღიარება

მიმდინარე წელს კომპანიამ აღიარა ბუთალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფასს-ის ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რაც შეესაბამებოდა მის საქმიანობას და ძალაში იყო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ხსენებული ცვლილებების არსი და მოქმედების სპეციფიკა ქვემოთაა ჩამოყალიბებული.

ახალი სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის

ცვლილება ბასს 40-ში (საინვესტიციო ქონება): ქონების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ან პირუკუ

ქონების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ან პირუკუ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება ქონების გამოყენების ხასიათი, რაც მტკიცდება გარკვეული ფაქტორებით. ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქონება აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. მხოლოდ განზრახვის ცვლილება არაა საკმარისი კატეგორიის შეაცვლელად

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ცვლის ბასს-39-ს (*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*). ახალი სტანდარტი მნიშვნელოვანწილად ცვლის ბასს-39-ის რეკომენდაციებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით და შემოაქვს ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოდელი: „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“. ფასს 9-ს ასევე სთავაზობს მომხმარებლებს ახალ მითითებებს ჰეჯირების ბუთალტრულ აღრიცხვის საკითხზე.

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუთალტრულ აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9-ის აღიარებისას, კომპანიამ მიმართა დროებით პრივილეგიის რეჟიმს და არ შეიტანა ცვლილებები წინა პერიოდების ანგარიშგებაში. ფასს 9-ის აღიარებით გამოწვეული ცვლილებები კლასიფიკაციის, შეფასებისა და გაუფასურების კუთხით აღიარებულია დაუნაწილებელ მოგებაში.

ფასს 9-ის აღიარებამ გავლენა მოახდინა შემდეგ სფეროებზე:

- ფინანსური აქტივების გაუფასურება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით. ეს გავლენას ახდენს კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ფასით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების შეფასებისას, კომპანია იყენებს მოსალოდნელი უვალო საკრედიტო ზარალის აღიარების გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ამ საქონელს არ გააჩნია დაფინანსების არსებითი კომპონენტი (იხ. შენიშვნა 18 (b)).

ფასს 9-ის აღიარების საწყისი თარიღის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია მოხდა შემდეგნაირად:

ვალუტა: ლარი	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება		
	ბასს 39	ფასს 9	საბოლოო ნაშთი 31.12.2017 (ბასს 39)	ფასს 9-ის აღიარება	საწყისი ნაშთი 01.01.2018 (ფასს 9)
მიმდინარე ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	სესხები და დებიტორ ული დავალიანე ბები (ამორტიზე ბული ფასი)	(ამორტი ზებული ფასი)	4,215,018	(472,386)	3,742,632
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	სესხები და დებიტორ ული დავალიანე ბები (ამორტიზე ბული ფასი)	(ამორტი ზებული ფასი)	771,857	-	771,857
სულ ფინანსური აქტივები ნაშთი			4,986,875	(472,386)	4,514,489

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნაშთების გადაფასება 2018 წლის 1 იანვარს ბასს 39-იდან ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად:

ვალუტა: ლარი	ბასს 39 საბალანსო ღირ-ბა 31.12.2017	რეკლასი- ფიკაცია	ხელახალი შეფასება	ფასს 9 საბალანსო ღირ-ბა 01.01.2018	დაუნაწი- ლებელი მოგების ეფექტი
ამორტიზირებული ღირებულება (მ.შ. ბასს 39- ის მიხედვით მომწიფებული)	4,986,875	-	(472,386)	4,514,489	(472,386)
სულ ფინანსური აქტივების ნაშთი, რეკლასიფიკაცია და ხელახალი შეფასება	4,986,875	-	(472,386)	4,514,489	(472,386)

ფასს 15: ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15-მა და მისმა განმარტებებმა (შემდგომში - ფასს 15) ჩაანაცვლა ბასს 18: მოგება, ფასს 11: სამშენებლო ხელშეკრულებები, და შემოსავალთან დაკავშირებული რამდენიმე ინტერპრეტაცია. ახალი სტანდარტი დაინერგა რეტროსპექტიულად, გადაფასების გარეშე, ისე რომ თავდაპირველი გამოყენება აისახება გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის სახით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გარდამავალი პერიოდის მიღწელების თანახმად, ფასს 15 ეხება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასრულებული არაა.

ფასს 15-ის აღიარებამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოახდინა.

მეტი ინფორმაცია შემოსავლის აღრიცხვის და ახალი სტანდარტის აღიარებით გამოწვეული შედეგის თაობაზე იხ. შენიშვნა 3.13-ში.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შეწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომლებიც კომპანიამ არჩია ჯერ არ ელიარებინა

კომპანიამ გადაწყვიტა ვადაზე ადრე არ ელიარებინა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული.

კომპანიის მენეჯმენტის ვარაუდით, ყველა სიახლის ინტეგრირება კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში მოხდება შესაბამისი სიახლის ძალაში შესვლის შემდეგ დაწყებულ პირველივე საანგარიშო პერიოდში. ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე და არსებული სტანდარტების ცვლილებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეეხება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, ქვემოთაა მოცემული. ამასთანავე, გამოქვეყნებულია რიგი სხვა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, მაგრამ მათ არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ფასს 9-ში: წინასწარი ანგარიშსწორება ნეგატიური კომპენსაციით

ფასს 9-ის თანახმად, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან არსებული საბაზრო ფასით და ჩაითვალოს სხვა შემოსავალში, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები „წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი შენარჩუნებულია მოცემული კლასიფიკაციის სათანადო ბიზნეს-მოდელში. ფასს 9-ის ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს იმ მოვლენის თუ გარემოების მიუხედავად, რომელიც იწვევს ვადაზე ადრე მოშლას და მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან ღებულობს სათანადო კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში.

მოცემული ცვლილებების მოქმედება რეტროსპექტულია; იგი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან; ნაადრევი დანერგვის შესაძლებლობით. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არა აქვს შეფასებული ამ ცვლილების გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16: იჯარები

ფასს 16 წარმოადგენს იჯარის აღრიცხვის ახალ მოთხოვნებს და ცვლილებებს. ფასს 16-ის ცვლილების თანახმად, მოიჯარეს მოეთხოვება საიჯარო ვალდებულებებისა და აქტივების საკუთრების უფლების აღიარება ბალანსზე იმ საიჯარო კონტრაქტებისთვის, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვის მოთხოვნებს, რაც ასევე მოიცავს ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი საიჯარო გადასახადები და ოფციონების შესრულების ვადები;
- უზრუნველყოფს გამონაკლისებს მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალფასიანი აქტივებისთვის;
- ცვლის გაყიდვის და უკუიჯარის გარიგების წესებს;
- მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას მეიჯარის აღრიცხვისადმი;
- შემოაქვს ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები.

ფასს 16 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის. ადრეული დანერგვა ნებადართულია. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არა აქვს შწფასებული ფასს 16-ის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ინტერპრეტაცია 23 - მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვეველობა

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 23 მიგვითითებს თუ როგორ მივუდგეთ ბასს 12-ის ფარგლებში წარმოშობილ გაურკვეველობას მოგების გადასახადის აღრიცხვაში, კერძოდ კი (i) განმარტავს საჭიროებს თუ არა გაურკვეველი მოგების გადასახადი ცალკე აღრიცხვას; (ii) გვთავაზობს დაშვებებს საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად; (iii) გვეხმარება დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), დაბეგრვის საფუძვლის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და საგადასახადო განაკვეთის გამოთვლაში და (iv) განსაზღვრავს ცვლილებების გავლენას ფაქტებზე და გარემოებებზე.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის. ადრეული დანერგვა ნებადართულია.

წლიური განვითარების 2015-2017 წწ. ციკლი (გამოცემულია 2017 წლის დეკემბერში)

წლიური განვითარების 2015-2017 წწ. ციკლის ფარგლებში რიგ ფასს-ებში მოხდა გარკვეული მცირე ცვლილებების შეტანა.

ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ქვემოთაა შეჯამებული:

ბასს 12: მოგებიდან გადასახადები - მოგების გადასახადის გადახდის გავლენა დადებით სალდოდ კლასიფიცირებულ ინსტრუმენტებზე

ცვლილებები ბასს 12-ში განმარტავს, რომ მოგებიდან გადასახადების გავლენა დივიდენდებზე უნდა იქნას აღიარებული როგორც მოგება ან წაგება, სხვა ზოგადი შემოსავალი ან დადებითი სალდო იმის მიხედვით, თუ რა სახით აღრიცხა ორგანიზაციამ თავდაპირველად შესაბამისი ტრანზაქციები თუ მოვლენები.

ბასს 12 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის. ადრეული დანერგვა ნებადართულია.

ბასს 23: ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები - ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას

ბასს 23.14 განაზღვრავს თუ როგორ უნდა მოხდეს ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმის განსაზღვრა. როდესაც საწარმო იღებს საერთო დანიშნულების სესხს და იყენებს მას რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად.

ბასს 23-ით, საერთო დანიშნულების სესხის თანხის განსაზღვრისას, საწარმო ვალდებულია გამორიცხოვს „რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად ნასესხები თანხები“. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო აღნიშნავს, რომ საწარმომ შეიძლება მოახდინოს მოცემული ფრაზის მისინტერპრეტაცია იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადი დანიშნულებით ნასესხებ თანხებში არ შედის

სესხები ისეთი აქტივების შესაძენად, რომლებიც მზადაა დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის ან გაყიდვისთვის.

შესაბამისად, ცვლილება განმარტავს, რომ როდესაც ნასესხები თანხით შემენილი განსაკუთრებული აქტივი მზადაა დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის ან გაყიდვისთვის, საწარმომ უნდა აღრიცხოს ამ აქტივის შესაძენად ნასესხები თანხა ზოგადი დანიშნულების სესხებთან ერთად.

ცვლილება მოქმედებს პროსპექტიულად (სხვა სიტყვებით, ეხება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა იმ წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისში / დაწყების შემდგომ, როდესაც ცვლილებები პირველად ამოქმედდა), რადგანაც ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ხარჯებმა შეიძლება რეტროსპექტიულად გადააჭარბოს პოტენციურ ანაზღაურებად თანხას.

ბასს 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის. ადრეული დანერგვა ნებადართულია.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოცემული ტრანზაქციის დღისთვის განსაზღვრული სავალუტო კურსით. ყოველ საანგარიშო დღეს, უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფულადი სახსრები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო თარიღისთვის დაწესებული კურსებით, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრისთვის გამოიყურება შემდეგნაირად: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარს, 1 ევრო = 3.1044 ლარს). არაფულადი ობიექტები კონვერტაციას არ ექვემდებარება; მათი შეფასება ხდება ისტორიული ღირებულებით (რომელიც კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს არსებული სავალუტო კურსით), გარდა არაფულადი ობიექტებისა, რომლებიც აღრიცხულია საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, კონვერტაცია ხდება საბაზრო ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსებით.

3.2 ქონება და აღჭურვილობა

ქონება და აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება საქონლის და მომსახურების მოწოდების მიზნებისთვის, ქირავდება ან ემსახურება სხვა ადმინისტრაციულ მიზნებს და გამოიყენება ერთზე მეტი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზაციისა და გაუფასურებასთან დაკავშირებული ზარალის გამოკლებით. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ან აღჭურვილობის ერთეული შედგება სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე რამდენიმე კომპონენტისგან, მათი აღრიცხვა ხდება ქონების / აღჭურვილობის ცალკეული ერთეულების სახით.

ხარჯებში შედის საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯები, ობიექტის მომზადება, მონტაჟი და აწყობა, პროფესიული ჰონორარები, ხოლო შესაბამისი აქტივების შემთხვევაში, ნასესხებ თანხებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც კაპიტალიზებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ყველა ნაქირავები ნაგებობა, თუ ის ლიზინგითაა ნაქირავები, აღირიცხება როგორც ქონება/აღჭურვილობა. ასეთი აქტივები უფასურდება ექსპლუატაციის ვადის მანძილზე (რომელიც განისაზღვრება სხვა მსგავსი აქტივების ექსპლუატაციის ვადის მსგავსად) ან საიჯარო პერიოდის მსვლელობაში, თუკი ეს უკანასკნელი საექსპლუატაციო ვადაზე მოკლეა.

სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ქონების თუ აღჭურვილობის გასხვისების ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებულ თანხასა და აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება როგორც მოგება ან ზარალი.

ქონების და აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილის ჩანაცვლებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც აღირიცხება განცალკევებულად, ექვემდებარება კაპიტალიზაციას ჩამოსაწერი ნაწილის მიმდინარე საბაზრო

ღირებულებით. შემდგომ პერიოდში გაწეული დაკავშირებული ხარჯის კაპიტალიზაცია ხდება იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ხარჯს შედეგად მოყვება სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და პროფილაქტიკური მომსახურება, უნდა გატარდეს როგორც მოგება ან ზარალი.

ამორტიზაცია ერიცხება მოგებას ან ზარალს, ან ემატება უშუალოდ აქტივის ღირებულებას მოცემული აქტივის საპროგნოზო საექსპლუატაციო ვადის მანძილზე. ამორტიზაციის ათვლა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე. საპროგნოზო საექსპლუატაციო ვადები გამოიყურება შემდეგნაირად:

საოფისე ფართი	- 30 წელი
საოფისე აღჭურვილობა	- 5 წელი
საოფისე ავეჯი	- 5 წელი
სხვა	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას, რომლებსაც სასრული საექსპლუატაციო ვადა აქვთ, აქტივების ღირებულებას აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება. ამორტიზაცია ერიცხება მოგებას ან ზარალს, ან ემატება უშუალოდ აქტივის ღირებულებას მოცემული აქტივის საპროგნოზო საექსპლუატაციო ვადის მანძილზე, რომელიც შეადგენს 7 წელიწადს.

3.4 ქონების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადის მქონე აქტივები არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად გადის შემოწმებას გაუფასურებაზე. ამორტიზირებადი აქტივები მოწმდება გაუფასურების კუთხით იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შეიძლება ვეღარ ანაზღაურდეს. გაუფასურებასთან დაკავშირებული ზარალის აღრიცხვა ხდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მიმდინარე საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებად ღირებულებად ითვლება წმინდა გასაყიდი ფასი ან სამომხმარებლო ფასი - რომელიც უფრო მაღალია. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ ეს უკანასკნელი მცირდება ანაზღაურებადი ღირებულების ოდენობამდე. გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგი იმთავითვე აღირიცხება ხარჯებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შესაბამისი აქტივის გადაფასება, რა შემთხვევაშიც გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგი გათვალისწინებული იქნება გადაფასების პროცესში როგორც ღირებულების კლება.

გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგის შემცირების შემთხვევაში, აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის მიმდინარე საბალანსო ღირებულება იზრდება ანაზღაურებადი ღირებულების ნამატით, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი მიმდინარე საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულს თუ მას არ დაერიცხებოდა გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგი წინა წლებში. გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგის შემცირება იმთავითვე აღირიცხება შემოსავლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შესაბამისი აქტივის გადაფასება, რა შემთხვევაშიც გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგის შემცირება გათვალისწინებული იქნება გადაფასების პროცესში როგორც გადაფასების ნამატი.

3.5 ნაქირავები აქტივები

ბასს 17-ის (იჯარები) შესაბამისად, ნაქირავები აქტივის საკუთრების უფლება გადაეცემა მოიჯარეს, თუკი ეს უკანასკნელი არსებითად თავის თავზე აიღებს ნაქირავები აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს. შესაბამისად, საიჯარო პერიოდის დასაწყისში მოცემული აქტივის ღირებულება განისაზღვრება ნაქირავები ობიექტის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ ეს მეორე უფრო დაბალია - იჯარის ღირებულებით, რომელაც ემატება არასისტემატური დამატებითი ხარჯები. შესაბამისი ოდენობა

აღირიცხება როგორც საფინანსო იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა საიჯარო თანხის ნაწილის ავანსად გადახდა საიჯარო პერიოდის დასაწყისში.

ფინანსური იჯარის რეჟიმში აყვანილი აქტივების აღრიცხვა (ანუ - გაუფასურების და საექსპლუატაციო ვადის შეფასების მეთოდები) შეესაბამება კომპანიის მფლობელობაში არსებული მსგავსი აქტივების აღრიცხვის მეთოდებს. საფინანსო იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადახდების ოდნობით, რასაც აკლდება ფინანსური დანარიცხვები, რომლებიც აისახება ფინანსური ხარჯების სახით. საიჯარო გადასახადის ე.წ. საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს კაპიტალის ბრუნვის ნაწილს და ემატება მოგებას ან ზარალს საიჯარო პერიოდის მანძილზე.

ყველა სხვა სახის იჯარა აისახება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებების ფარგლებში გადასახდელი თანხები აღირიცხება როგორც ხარჯების ნაწილი. სხვა შესაბამისი დანახარჯი, როგორიცაა ტექნიკურ-პროფილაქტიკური მომსახურება და დაზღვევა, ასევე აღირიცხება როგორც ხარჯი მისი გაწვევითანავე.

3.6 სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები წარმოადგენს კომერციული საქმიანობის ფარგლებში გასაყიდად გამზადებულ აქტივებს ან მასალას / ნედლეულს, რომელიც იხარჯება წარმოებაში ან მომსახურების გაწევის პროცესში. მარაგი ნაწილები, სათადარიგო და დამხმარე აღჭურვილობა ასევე შედის სასაქონლო მარაგებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ქონების და აღჭურვილობის კრიტერიუმებს.

სასაქონლო მარაგების ასახვა ხდება მათი ღირებულებით ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით (რომელიც უფრო დაბალია). წმინდა სარეალიზაციო ღირებულება მიიღება გასაყიდი ფასიდან დამზადების ხარჯების და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სასაქონლო მარაგების ღირებულება გამოითვლება გაშუალების პრინციპით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, ადგილზე მოტანასთან და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ბალანსზე აყვანა და ბალანსიდან ჩამოწერა

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ბალანსზე აყვანა ხდება, როდესაც კომპანია ხდება საფინანსო ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა ხდება, როდესაც ფულადი ნაკადების მოძრაობაში წყდება ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული საკონტრაქტო უფლებების ასახვა, ან როდესაც ხდება ფინანსური აქტივის და მასთან დაკავშირებული არსებითი რისკების და სარგებლის გასხვისება.

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მათი დაფარვის, გაუქმების ან ადის გასვლის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

გარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასდება გაყიდვის ფაქტიური ღირებულებით, როგორც ამას განსაზღვრავს ფასს 15, ყველა ფინანსური აქტივის თავდაპირველი შეფასება ხდება მათი საბაზრო ფასით, რომელსაც საჭიროებისამებრ აკლდება საწარმოო ხარჯები.

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, ნაწილდება შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულება
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი სხვა შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანია არ ფლობს FVTPL ან FVOCI კატეგორიების ფინანსურ აქტივებს.

კლასიფიკაცია განისაზღვრება:

- კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის მართვის მიზნებისთვის გამოყენებული საწარმოო საქმიანობის მოდელით, და

- ფინანსური აქტივის საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებით.

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავლი და ხარჯი, რომელიც აისახება მოგების ან ზარალის სახით, წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა სტატიებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რაც აისახება სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივების შეჯამება კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 17.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივები შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ისინი აკმაფოფილებს შემდეგ პირობებს (და არაა კლასიფიცირებული FVTPL კატეგორიაში):

- ფინანსური აქტივები მიეკუთვნება ბიზნეს-მოდელს, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური აქტივების დაკავებას და შესაბამისი საკონტრაქტო ფულადი სახსრების მიღებას;
- ფინანსური აქტივების საკონტრაქტო პირობები წარმოქმნის ფულად სახსრებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ფარავს ძირითადი თანხას და ძირითადი თანხის ნაშთზე დარიცხულ პროცენტებს

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით საბაზრო პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ მექანიზმის გამოყენების შედეგი არაარსებითია. ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება კომპანიის ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები ასახავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე - ე.წ. „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“, რომელიც ცვლის ბასს 39-ს - „ფაქტობრივი ზარალის მოდელი“. ამ ახალი მოთხოვნების ფარგლებში ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სესხის ტიპის სხვა ფინანსურ აქტივებს, რომელთა შეფასებაც ხდება ამორტიზაციის გათვალისწინებით, FVOCI კატეგორიის აქტივებს, სავაჭრო მოთხოვნებს, ფასს 15-ის ფარგლებში აღიარებულ და შეფასებულ საკონტრაქტო აქტივებს, სასესხო ვალდებულებებს და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, რომლებიც არ აისახება საბაზრო ფასით მოგებაში ან ზარალში.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარაა დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის გამომწვევი მოვლენის იდენტიფიცირებაზე. სანაცვლოდ, საკრედიტო რისკის შეფასებისას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისად კომპანია განიხილავს ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მ.შ. წარსულ მოვლენებს, არსებულ გარემოებებს, გონივრულ და ფაქტებზე დაფუძნებულ პროგნოზებს, რომლებიც გავლენას ახდენს მომავალში ინსტრუმენტის ფარგლებში არსებული ფულადი ნაკადების მიღებაზე.

აღნიშნული საპროგნოზო მიდგომის გამოყენებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვნად არ შემცირდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გამოირჩევიან დაბალი საკრედიტო რისკით (I კატეგორია), და
- ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლების რომლებიც არ გამოირჩევიან დაბალი საკრედიტო რისკით (II კატეგორია)

III კატეგორიაში შედის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც ობიექტურად გაუფასურებულია ანგარიშგების თარიღისთვის.

„მოსალოდნელი 12-თვიანი საკრედიტო ზარალი“ მიეკუთვნება პირველ კატეგორიას, ხოლო „მოსალოდნელი სამუდამო საკრედიტო ზარალი“ - მეორე კატეგორიას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საპროგნოზო სიცოცხლისუნარიანობის პერიოდში სავარაუდოდ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება წინა პერიოდში ბასს 39-ის თანახმად

წინა წლის მანძილზე, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება აისახებოდა ფაქტობრივი ზარალის მოდელზე დაყრდნობით. ცალკეული მნიშვნელოვანი მოთხოვნების გაუფასურების ასახვა ხდებოდა მათი ვადაგადაცილების შემდეგ ან კონკრეტული პარტნიორის ბანკროტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების საფუძველზე. მოთხოვნები, რომელთა გაუფასურებაც არ განიხილებოდა ინდივიდუალურად, ექვემდებარებოდა შეფასებას და გაუფასურებას ჯგუფური პრინციპით, ხოლო ჯგუფებად დაყოფას განსაზღვრავდა მრეწველობის დარგი, პარტნიორის რეგიონი და საკრედიტო რისკის სხვა საზიარო პარამეტრები. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასება ხდებოდა ყოველი ჯგუფის დამახასიათებელ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და საკონტრაქტო აქტივების აღრიცხვისას და ასახავს შესაძლო ზარალის ნორმას როგორც მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის მთელი სიცოცხლისუნარიანობის პერიოდში. აქ იგულისხმება საკონტრაქტო ფინანსური ნაკადების შეუსრულებლობა, დეფოლტის იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რომელაც ფინანსური ინსტრუმენტი მთელი თავისი არსებობის პერიოდში ინარჩუნებს. გამოთვლისას, კომპანია იყენებს არსებულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეხმარება მას საპროგნოზო მატრიცის შედგენის გზით და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურად, ვინაიდან ამ აქტივებს გააჩნიათ საზიარო საკრედიტო რისკი, რომლის მიხედვითაც მოხდა მათი დაჯგუფება წარსულში. ფასს 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების მოთხოვნების დანერგვის მექანიზმი დეტალურადაა განმარტებული შენიშვნა 18 (b)-ში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ვინაიდან ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა მეტნაკლებად უცვლელი რჩება ფასს 9-ის ფარგლებში და მნიშვნელოვანწილად იმეორებს ბასს 39-ის პრინციპებს და მიდგომებს, ფასს 9-ის დანერგვამ არ იქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე. თუმცა, ქვემოთ ჩვენ განვმარტავთ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და საფინანსო იჯარის ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 17.2.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აისახება თავდაპირველად მათი საბაზრო ღირებულებით, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. საბაზრო ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხის მიღება ხდება მფლობელებისგან. ამ შემთხვევაში, საბაზრო და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აისახება დაუნაწილებელ მოგებაში დამატებითი კაპიტალის სახით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიღებული სესხები ექვემდებარება ამორტიზაციას, ისე რომ ღირებულებასა და გამოსასყიდ ფასეულობას შორის სხვაობა აისახება როგორც მოგება ან ზარალი საბაზრო პროცენტის მეთოდის გამოყენებით. მიღებული სესხების პროცენტები და მიღებულ სესხებთან დაკავშირებით გაწეული სხვა ხარჯები აისახება ფინანსურ ხარჯებში, გარდა იმ სესხებთან დაკავშირებული ხარჯებისა, რომლებიც განკუთვნილია განსაკუთრებული აქტივის შეძენისთვის - ასეთ შემთხვევაში სესხთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას ხსენებულ აქტივთან ერთად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება საბაზრო ღირებულებით და შემდგომ ექვემდებარება ამორტიზაციის დარიცხვას.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს, ფულს სალაროში, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ფულს და გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ ფულად სახსრებს.

3.9 დადებითი სალდო

კომპანიის მიერ გაცემული წილური ინსტრუმენტები აისახება როგორც მოგება.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების წვლილს კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

დაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდის დაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდები აისახება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი დეკლარირება

3.10 რეზერვები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარმოეშობა იურიდიული ან კონსტრუქტიული ვალდებულება წინა პერიოდის მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური ბენეფიტების გადინება. მატერიალური ევექტის შემთხვევაში, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადებიდან დაუბეგრავი განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს.

3.11 მოგების გადასახადი

ამჟამინდელი გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო გადასახდელი/(დასაბრუნებელი) წილური დასაბეგრი შემოსავლიდან, რომელიც გამოიანგარიშება მოხსენების თარიღისთვის არსებული განაკვეთით და საჭიროებისამებრ ემატება წინა საანგარიშო წლებში გადახდილი მოგების გადასახადის კორექტირება.

ცვლილებები მოგების კორპორატიული გადასახადით დაბეგრვაში 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ საგადასახადო კოდექსში, რაც გამოიხატა მოგების კორპორატიული გადასახადის ახალი მოდელის შემოღებაში.

ახალი მოდელი (ე.წ. „კორპორატიული დაბეგრვის ესტონური მოდელი“) გულისხმობს დაუნაწილებელი ქონების მოგების კორპორატიული გადასახადის 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება - 15%-იანი განაკვეთით, მაშინ როდესაც შარშან კომპანიის 15%-იანი განაკვეთით იბეგრებოდა კომპანიის მთლიანი მოგება - როგორც გაუნაწილებელი, ისე განაწილებული. 2017 წლის 1 იანვარს შემოღებული ცვლილებების შედეგად, კომპანიები იხდიან მოგების კორპორატიულ გადასახადს მოგების დანაწილებისას (აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებისას) და ინდივიდუალურ ტრანზაქციების დროს, რომლებიც შიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (როგორიცაა ბენეფიტები, საჩუქრები, გადახდები, საერთაშორისო გარიგებები პარტნიორებთან, ეკონომიკურ საქმიანობასთან კავშირის არმქონე ხარჯები და ა.შ.)

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების დანაწილების შედეგად, აისახება როგორც ხარჯი იმავე პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენტების ოდენობის დადგენა, მიუხედავად დივიდენდების გადახდის ფაქტიური თარიღისა ან დივიდენდების დარიცხვის პერიოდისა. გადასახადის განაკვეთია წმინდა გასანაწილებელი თანხის 15/85.

2016 წლამდე გამომუშავებული დივიდენდების დაბეგრვის მიზნით, რომელთა დარიცხვა და გადახდა მოხდა 2017 წელს ან შემდგომ პერიოდში, ძველი მოდელით დაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მოგების კორპორატიული გადასახადისთვის მოქმედებს საგადასახადო კრედიტი.

კორპორატიული მოგების გადასახადის დარიცხვის შეცვლილი კონცეფციის თანახმად, აღარ იარსებებს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ფორმირება, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში: *მოგების გადასახადები*.

3.12 თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი მოიცავს ისეთ სარგებელს, რომლის გადახდაც ხდება სრულად, იმ წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტი თვის ვადაში, რომლის მანძილზეც თანამშრომლებმა გაწიეს შესაბამისი მომსახურება. თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი მოიცავს:

- (a) ანაზღაურებას, ხელფასებს და პრემიებს;
- (b) წლიურ ანაზღაურებად შეუღებებს და ანაზღაურებად გაცდენებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- (c) საპენსიო ფონდის გადასახადებს.

როდესაც თანამშრომლები უწყვეტ კომპანიას მომსახურებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლის გადასახდელი ნაწილი კომპანიის მიერ აისახება შემდეგნაირად:

- (a) როგორც ვალდებულებას (დაგროვებულ ხარჯს), უკვე გადახდილი თანხების გამოკლებით. თუ მოცემული დროისთვის გადახდილი თანხა აღემატება სარგებლის არადისკონტირებულ ოდენობას, მაშინ კომპანია ასახავს ნამეტს როგორც აქტივს (წინასწარ გადასახდელი ხარჯი), იმ პირობით, რომ მომავალში წინასწარ გადახდას მოყვება სამომავლო გადასახდელების შემცირება ან ანაზღაურება.
- (b) როგორც ხარჯს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხა შესულია აქტივის ღირებულებაში.

ანაზღაურებადი გაცდენები

თანამშრომელთა მოკლევადიანი პრივილეგიების - ფასიანი გაცდენების - საპროგნოზო ღირებულების ასახვა ხდება შემდეგნაირად:

- (a) ფასიანი გაცდენების დაგროვების შემთხვევაში, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას, რომელიც ზრდის მათ მიერ სამომავლოდ გამოსაყენებელი ფასიანი გაცდენების ოდენობას;
- (b) ფასიანი გაცდენების დაგროვების გარეშე, გაცდენების ფაქტიური ასახვით.

პრემიები

პრემიალური ანაზღაურების მოსალოდნელი ღირებულების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარმოეშობა იურიდიული ან კონსტრუქტიული ვალდებულება გასცეს პრემიები წარსული მოვლენების შედეგად და მოვალეობის საიმედო პროგნოზირება შესაძლებელია. მიმდინარე ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ გააჩნია რაიმე რეალური ალტერნატივა პრემიების გაცემის გარდა.

3.13 შემოსავალი

შემოსავალი წარმოიშობა მეტწილად კომპიუტერების, კომპიუტერული ტექნიკისა და ლიცენზიების გაყიდვიდან.

შემოსავლის აღიარების მიზნით, კომპანია მიმართავს 5-ეტაპიან პროცედურას:

1. კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
2. საკონტრაქტო ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. საკონტრაქტო ვალდებულებებისადმი გარიგების ფასის მისადაგება
5. შემოსავლის აღიარება საკონტრაქტო ვალდებულებების დაკმაყოფილებისთანავე / შემდგომ.

შემოსავლის ასახვა ხდება დროის გარკვეულ მომენტში ან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია დააკმაყოფილებს საკონტრაქტო ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის გადაცემით ან მომსახურების გაწევით. აქტივის გადაცემა ხდება იმ მომენტში, როდესაც (ან როგორც კი) კლიენტი მიიღებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

კომპანიის შემოსავლების ძირითადი ხაზებია:

- a) შემოსავალი კომპიუტერების რეალიზაციიდან;
- b) შემოსავალი კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციიდან, და

ც) შემოსავალი ლიცენზიების რეალიზაციიდან.

კომპანია ყიდის კომპიუტერებს და კომპიუტერულ ტექნიკას სტანდარტული გარანტიებით, რომლებიც ანაზღაურდება კომპიუტერის / კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებლის მიერ და არ უზრუნველყოფს კლიენტს დამატებითი მომსახურებით; ამრიგად, გარანტიები არ განიხილება როგორც საკონტრაქტო ვალდებულება და უკავშირდება კომპიუტერების / კომპიუტერის ნაწილების რეალიზაციას.

ზემოთჩამოთვლილი სამი ხაზიდან მიღებული შემოსავლების ასახვა ხდება განსაზღვრულ მომენტში.

დროის იმ მომენტის განსაზღვრის მიზნით, როდესაც მოცემული აქტივზე კონტროლს ღებულობს კლიენტი, ხოლო კომპანია აკმაყოფილებს საკონტრაქტო ვალდებულებას, კომპანია განიხილავს კონტროლის მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი გულისხმობს მისი მოხმარებისა და, შესაბამისად, მისგან სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი ასევე გულისხმობს სხვა პირებისთვის აქტივის მოხმარებისა და მისგან სარგებლის მიღებისგან ხელის შეშლას.

ფასს 15-ის დანერგვის გავლენა

ფასს 15-ის დანერგვამ არ იქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 ქონება და აღჭურვილობა

ვალუტა: ლარი	საოფისე ფართი	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე ავეჯი	სხვა	ჯამი
<i>ღირებულება</i>					
2017 წლის 1 იანვრისთვის	156,892	25,842	6,014	6,286	195,034
დამატებები	-	9,547	5,828	7,356	22,731
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	156,892	35,389	11,842	13,642	217,765
დამატებები	-	4,895	1,319	-	6,214
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	156,892	40,284	13,161	13,642	223,979
<i>გამორი ამორტიზაცია და გაუფასურება</i>					
2017 წლის 1 იანვრისთვის	14,676	6,511	1,854	2,263	25,304
ცვლილებები წლის განმავლობაში	7,111	3,594	1,259	1,567	13,531
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	21,787	10,105	3,113	3,830	38,835
ცვლილებები წლის განმავლობაში	6,755	7,753	1,844	770	17,122
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	28,542	17,858	4,957	4,600	55,957
<i>მიმდინარე საბალანსო ღირებულება</i>					
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	135,105	25,284	8,729	9,812	178,930
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	128,350	22,426	8,204	9,042	168,022

კომპანიის ქონება 128,350 ლარის ოდენობის საბალანსო ღირებულებით ჩადებულია სესხების უზრუნველყოფაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხ. შენიშვნა 10). ამორტიზაციის ხარჯი აისახა მოგება-ზარალის უწყისში ადმინისტრაციული ხარჯების სტატიაში (იხ. შენიშვნა 13).

კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანიის საოფისე ფართის საბაზრო ღირებულება ანგარიშგების თარიღისთვის შეადგენს დაახლოებით 250,000 ლარს. აღნიშნული შეფასება ემყარება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ 2018 წლის იანვარსი განხორციელებული, საბაზრო მიდგომაზე დაფუძნებული შეფასების მონაცემებს. კომპანიის კუთვნილი სხვა ქონებისა და აღჭურვილობის საბაზრო ღირებულება დაახლოებით უდრის მათ საბალანსო ღირებულებას.

5 საწარმოო მარაგები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
პროგრამული უზრუნველყოფის გასაყიდი ლიცენზიები	1,110,510	72,051
კომპიუტერები	1,107,904	541,762
ქსელური აღჭურვილობა	606,182	225,175
საკომუნიკაციო აღჭურვილობა	147,402	194,943
სერვერები	667,213	1,114,731
IT-მასალები	302,505	132,286
სხვა აქსესუარები	297,428	271,584
	<u>4,239,144</u>	<u>2,552,532</u>

საწარმოო მარაგების ღირებულება ასახულია როგორც ხარჯი და წლის განმავლობაში ჯამურად შეადგენს 45,799,183 ლარს (2017 წელს: 23,972,244 ლარი). საწარმოო მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასში ჩამოწერის პრაქტიკა, რომელიც კომპანიას წინა პერიოდში ჰქონდა მიღებული, აღარ გამოიყენება გასაყიდი

ფასების ზრდის გამო. არცერთი საწარმოო მარაგი არაა ჩადებული რომელიმე ვალდებულების უზრუნველყოფად.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
სავაჭრო მოთხოვნები	11,776,740	4,489,894
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(676,298)	(274,876)
	<u>11,100,442</u>	<u>4,215,018</u>

ყველა ჩამოთვლილი აქტივი მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მაქსიმალურადაა მიახლოებული არსებულ საბაზრო ღირებულებასთან. საქონლის გაყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი შეადგენს 330 დღეს (2017 წელს: 330 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა შესაბამისი პერიოდისთვის შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორების აღმოჩენის მიზნით. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები წარმოშობილია მეტწილად რთულ ფინანსურ პირობებში მყოფ კორპორატიულ კლიენტებთან დადებული გარიგებების შედეგად. შენიშვნა 18 (b) მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკების შესახებ და საკრედიტო ზარალის რეზერვის ანალიზს. წინა პერიოდში, გაუფასურების ინდიკატორების დეტექციის პროცედურა ემყარებოდა ბასს 39-ის შეფასების მექანიზმს, რომელიც ემყარებოდა ფაქტობრივი ზარალის შეფასების პროცესს, მაშინ როდესაც წელს კომპანია იყენებს ფასს 9-ს, რომელიც ემყარება მოსალოდნელი ზარალის მოდელს.

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამომხატველი ვალუტების შესახებ მოცემულია შენიშვნა 18 (a)-ში.

7 საგადასახადო აქტივები (მოგების გადასახადის გარდა)

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
თანამშრომელთა მოგების გადასახადი	313,042	250,055
დღგ-ს აქტივები	-	163,222
	<u>313,042</u>	<u>413,277</u>

8 ფულადი სახსრების ნაშთი სალაროში და ბანკში

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
ფული სალაროში	509	567
ფული ბანკში	2,990,789	771,290
	<u>2,991,298</u>	<u>771,857</u>

ინფორმაცია სალაროში და ბანკში არსებული ფულადი სახსრების ნაშთის ვალუტების შესახებ მოცემულია შენიშვნა 18 (a)-ში.

9 დივიდენდები

2018 წელს კომპანიის მფლობელებმა მიიღეს 1,275,386 ლარის ოდენობის დივიდენდები. 2017 წელს გადახდილი დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 228,766 ლარი.

10 მიღებული სესხები

ვალუტა: ლარი	მიმდინარე	
	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	2,676,600	-

ბანკიდან აღებული სესხის დაფარვის ვადა იჭურება 6 თვეში; სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 7.25%.

საბანკო სესხების აღება ხდება ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში. საბანკო სესხების საბაზრო ღირებულება ემთხვევა საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო და სავალუტო რისკების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 18 (a).

11 ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და პერსონალთან

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
ანგარიშსწორება მომწოდებლებთან	12,089,614	5,337,493
ანგარიშსწორება პერსონალთან	41,832	136
	<u>12,131,446</u>	<u>5,337,629</u>

მომწოდებლებთან ანგარიშსწორებაზე პროცენტი არ ირიცხება. კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას საკრედიტო პერიოდის ფარგლებში.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის სავალუტო რისკების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 18 (a).

12 სხვა შემოსავალი

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი	2017 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი
უიმედო ვალების დაბრუნება	70,964	-
სასაქონლო მარაგების გაუფასურების კომპენსაცია	3,040	-
სხვა შემოსავალი	16,929	-
	<u>90,933</u>	<u>-</u>

13 ადმინისტრაციული ხარჯები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი	2017 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი
თანამშრომელთა კუთვნილი სარგებელი	1,539,382	1,069,877
იჯარა	75,776	71,588
მივლინებები	74,143	31,629
კომუნალური ხარჯევი	9,368	4,983
კომუნიკაცია	22,048	17,316
საბანკო მომსახურება	32,037	15,378
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	21,241	12,330
გაუფასურება და ამორტიზაცია	18,546	13,531
უიმედო ვალებთან დაკავშირებული ხარჯები	-	124,774
სხვა ზოგადი ხარჯები	232,242	89,995
	<u>2,024,783</u>	<u>1,451,401</u>

14 სხვა ფინანსური გატარებები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი	2017 წლის 31 დეკემბერს დასრ. წელი
სავალუტო კურსის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი):		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	327,556	85,392
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	(702,635)	(456,485)
	<u>(375,079)</u>	<u>371,093</u>

15 შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ ჰქონდა ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლების გათვალისწინებითაც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო გახდებოდა დამატებითი შესწორებებს ან განმარტებებს შეტანა.

16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

შეფასებები და გადაწყვეტილებები ექვემდებარება მუდმივ გადახედვას და ემყარება წინა პერიოდში მიღებულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მ.შ. სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებულ მოლოდინებს, რომლებიც გონივრულად ფასდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

16.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალ პერიოდებისათვის. მომავალ პერიოდებში მიღებულ გამოცდილება შესაძლოა განსხვავებულ იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

უიმედო ვალები

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების დაბრუნების ალბათობას არსებული გამოცდილებიდან და სამომავლო მოლოდინებიდან გამომდინარე. მოთხოვნების დაბრუნების ფაქტობრივი ალბათობა შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მიმდინარე შეფასებისგან.

საწარმოო მარაგები

მენეჯმენტი აფასებს საწარმოო მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება მოცემულ საანგარიშო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულების გათვალისწინებით. ხსენებული საწარმოო მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მოპმავლის ტექნოლოგიებმა ან საბაზრო ცვლილებებმა, რომელიც შეამცირებს გასაყიდ ფასებს.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტს შეფასებული აქვს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შეფასებისთვის. ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და ფინანსური ხარჯების სააღრიცხვო ოდენობებზე.

ქონების და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანიის მენეჯმენტს შეფასებული აქვს ქონების და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადები. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ქონების და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადები არსებითად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური რესურსისგან. თუ ქონების და აღჭურვილობის სასარგებლო

მომსახურების რეალური ვადები საპროგნოზოსგან განსხვავებული აღნოჩნდა, ფინანსური ანგარიშგება არსებითად შეიცვლება.

16.2 მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვარაუდები

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ დაუბეგრავი მოგების კოეფიციენტი გააგრძელებს ზრდას და კომპანია მოახერხდებს აქციონერებისთვის სასურველი დივიდენდების გადახდას. შესაბამისად, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის განგრძობით საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება და მისი არცერთი აქტივი არ დგას გაუფასურების რისკის ქვეშ. ვარაუდი ემყარება კომპანიის ძლიერ მარკეტინგულ პოზიციას.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

დეტალური ინფორმაცია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და მეთოდების შესახებ, მ.შ. აღიარების კრიტერიუმების და ყველა კლასის ფინანსურ აქტივებთან, ფინანსურ ვალდებულებებთან და დადებით სალდოსთან მიმართებაში შემოსავლისა და ხარჯების აღიარების საფუძვლების შესახებ მოცემულია შენიშვნა 3.7-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები ეხება აქტივების და ვალდებულებების შემდეგ კატეგორიებს:

ფინანსური აქტივები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,100,442	4,215,018
ნაშთი სალაროში და ბანკში	2,991,298	771,857
	<u>14,091,740</u>	<u>4,986,875</u>

ფინანსური ვალდებულებები

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბერს	2017 წლის 31 დეკემბერს
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები:		
ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და სხვა სუბიექტებთან	12,131,446	5,337,629
სესხები	2,676,600	-
	<u>14,808,046</u>	<u>5,337,629</u>
პოზიცია ნეტო	<u>(716,306)</u>	<u>(350,754)</u>

18 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები დგას სხვადასხვა ფინანსური რისკების წინაშე. რისკების ძირითად ტიპებს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არაა აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით სპეკულატიურ ვაჭრობაში და არ იძლევა ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი საფინანსო რისკები, რომლების წინაშეც დგას კომპანია, ქვემოთაა აღწერილი:

ფინანსური რისკები

a) საბაზრო რისკი

კომპანია დგას საბაზრო რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო; კონკრეტულად, ძირითადად რისკებს წარმოადგენს სავალუტო და საპროცენტო რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა კომპანიის საერთაშორისო გაყიდვებისა და შესყიდვების დროს, რომლებიც ძირითადად ხორციელდება აშშ დოლარში და ევროში. კომპანიას ასევე აღებული აქვს სესხი აშშ დოლარში, რომლის გამოყენებაც მოხდა ძირითადად მისი საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც აყენებს კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე, ქვემოთაა ჩამოთვლილი. ოდენობები მოწოდებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს არსებული სავალუტო კურსით:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,577,522	42,715
ნაშთი სალაროსა და ბანკში	2,742,087	8,831
	<u>4,319,609</u>	<u>51,546</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
მიღებული სესხები	2,676,600	-
ანგარიშსწორება მომწოდებლებთან	5,669,378	42,286
	<u>8,345,978</u>	<u>42,286</u>
პოზიცია ნეტო	<u>(4,026,369)</u>	<u>9,260</u>
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,189,771	42,717
ნაშთი სალაროსა და ბანკში	612,960	-
	<u>1,802,731</u>	<u>42,717</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
ანგარიშსწორება მომწოდებლებთან	5,210,150	44,627
	<u>(3,407,419)</u>	<u>(1,910)</u>

ქვემოთ მითითებული ცხრილის მიხედვით, კომპანიის მგრძნობელობა ლარი-აშშ დოლარის კურსის გაზრდა-დაცემის რისკის მიმართ შეადგენს 10%-ს (2017 წელს: 10%). მენეჯმენტის შეფასებით, სავალუტო კურსის სავარაუდო ცვლილება წლის განმავლობაში შეადგენს 10%-ს (2017 წელს: 10%).

რისკის მიმართ მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ინსტრუმენტებს; საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება ამ ფულადი ინსტრუმენტების ლარში კონვერტაციის კორექტირება სავალუტო კურსის 10%-იანი ცვლილების გათვალისწინებით (2017 წელს: 10%).

ქართული ლარის აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 10%-ით გამყარებას (2017 წელს: 10%) შემდეგი გავლენა ექნებოდა:

ვალუტა: ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება (ზარალი)	402,637	340,742	(926)	191

უცხოური ვალუტების კურსებთან შეხების ინტენსივობა წლის განმავლობაში შეიძლება მერყეობდეს საერთაშორისო გარიგებების მოცულობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ ზემოთ მოყვანილი ანალიზი სამართლიანად ასახავს კომპანიის მგრძნობელობას სავალუტო რისკის მიმართ.

საპროცენტო რისკი

კომპანია არ განიცდის საპროცენტო რისკს, რადგანაც იღებს სესხებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისმობს იმის რისკს, რომ პარტნიორი დაარღვევს საკონტრაქტო ვალდებულებებს, რასაც შედეგად მოყვება კომპანიის ფინანსური დაზარალება. კომპანიის საკრედიტო რისკს ქმნის ფინანსური აქტივები, მ.შ. ფული სალაროში და ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გამოყენებით.

ბანკებში არსებულ ფულად ნაშთებთან და დეპოზიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვა ხდება საბანკო დეპოზიტების გამრავალფეროვნებით და დეპოზიტების მხოლოდ დადებითი რეპუტაციის მქონე საფინანსო დაწესებულებებში განთავსების გზით.

კომპანია აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას მენეჯმენტისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. კომპანიის პოლიტიკა მხოლოდ საიმედო პარტნიორებთან ურთიერთობას მოიაზრებს. ანგარიშსწორების პირობები მერყეობს 30 დღიდან 330 დღემდე. კლიენტებთან შეთანხმებული ანგარიშსწორების პირობები გადის შიდა დამოწმების პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება კლიენტთან დაკავშირებული ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვა. არსებული საკრედიტო რისკის მართვა ხდება სავაჭრო მოთხოვნების ასაკის ანალიზის და თითოეული კლიენტისთვის შეთავაზებული საკრედიტო ლიმიტის სისტემატური გადახედვით.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კლიენტების დიდ რაოდენობას, რომლებიც მოღვაწეობენ მრეწველობის სხვადასხვა დარგში (თუმცა, ძირითადად ისინი კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის დისტრიბუციით არიან დაკავებული) და სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. კომპანიას არ ერიცხება რაიმე უზრუნველყოფა სავაჭრო მოთხოვნების ბალანსზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, რომლის თანახმადაც ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და ეს ინსტრუმენტები არაა გამაგრებული არსებითი საფინანსო კომპონენტით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გამოთვლისას, სავაჭრო მოთხოვნების შეფასება ხდება კოლექტიურად, ვინაიდან მათ გამოარჩევენ საზიარო საკრედიტო რისკის კომპონენტები. მათი დაჯგუფება ხდება ასაკის მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ემყარება ანგარიშსწორების პროფილს და შესაბამის საკრედიტო დანაკარგებს ბოლო 24 თვის განმავლობაში, შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით. ისტორიული განაკვეთები არაა კორექტირებული მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტის უნარზე დაფაროს არსებული დავალიანება, ვინაიდან (a) კომპანიის მენეჯმენტმა ვერ მოახერხა ისტორიული ზარალის განაკვეთის კორექტირებისთვის საჭირო სათანადო ფაქტორების გამოკვეთა, და (b) მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საკრედიტო რისკის მოკლე პერიოდის მანძილზე, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საანგარიშო პერიოდში უმნიშვნელო იქნება.

სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობს მათი ამოღების მოლოდინი.

ინვოისის მიღების თარიღიდან 365 დღის განმავლობაში გადაუხდელობა და კომპანიასთან გადახდის ალტერნატიული თარიღის შეუთანხმებლობა ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სავაჭრო მოთხოვნების ამოღების მოლოდინი არ არსებობს. შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018 წ.	მოსალოდნ. საკრედიტო ზარალი	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა
1 თვეზე ნაკლები	2.14%	5,982,175	127,856
1-დან 6 თვემდე	3.58%	3,999,672	143,207
6 თვიდან 1 წლამდე	17.63%	354,038	62,425
1 წელზე მეტი	23.79%	1,440,855	342,810
		<u>11,776,740</u>	<u>676,298</u>

1 იანვარი, 2018 წ.	მოსალოდნ. საკრედიტო ზარალი	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა
1 თვეზე ნაკლები	1.36%	3,071,535	41,920
1-დან 6 თვემდე	9.41%	663,414	62,407
6 თვიდან 1 წლამდე	82.37%	244,369	201,276
1 წელზე მეტი	86.50%	510,576	441,660
		<u>4,489,894</u>	<u>747,263</u>

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის საბოლოო ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აბალანსებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებულ ზარალის რეზერვის ნაშთს შემდეგნაირად:

ვალუტა: ლარი

	2018	2017
ზარალის რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით, გამოთვლილი ბასს 39-ის საფუძველზე	274,876	150,102
დაუნაწილებელი მოგების ხარჯზე გადაფასებული სახსრები	472,386	-
ზარალის რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	<u>747,262</u>	<u>150,102</u>
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	-	124,774
წლის განმავლობაში გამოუყენებელი და გაუქმებული ზარალის რეზერვი (იხ. შენიშვნა 12)	(70,964)	-
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>676,298</u>	<u>274,876</u>

ც) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს კომპანიის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს კეთილგონივრული ლიკვიდობის პოლიტიკის განხორციელებას სალაროში და ბანკში სათანადო რაოდენობის ნაშთების დაცვით და მაღალი ლიკვიდურობის აქტივებით მუშაობას, რაც ხელს უწყობს ყველა საოპერაციო დანახარჯის და დავალიანების დროულად გადახდას.

შემდეგ ცხრილში ჩამოყალიბებულია კომპანიის არსებული სკაონტრაქტო ვალდებულებები დაფარვის თარიღების და არასაწარმოო ფინანსური ვალდებულებების მომწიფების ვადებით. ცხრილი შედგენილია საფინანსო ვალდებულებების არადისკონტირებული მოძრაობის გათვალისწინებით კომპანიის მიერ

დავალიანების დაფარვის ვალდებულებების თარიღების გათვალისწინებით. ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია როგორც დავალიანების ძირითადი თანხები, ისე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთები:

2018	ფიქსირებული პროცენტით დატვირთული		
	უპროცენტო	პროცენტით	ჯამი
საშუალო საპროცენტო განაკვეთი (%)		7.5%	
6 თვეზე ნაკლებვადიანი	12,131,446	-	12,131,446
6 თვიდან 1 წლამდე ვადის მქონე	-	2,676,600	2,676,600
	12,131,446	2,676,600	14,808,046

2017	ფიქსირებული პროცენტით დატვირთული		
	უპროცენტო	პროცენტით	ჯამი
საშუალო საპროცენტო განაკვეთი (%)			
6 თვეზე ნაკლებვადიანი	5,337,629	-	5,337,629
	5,337,629	-	5,337,629

ლიკვიდობის რისკის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობას, განსაკუთრებით კი ფულად რესურსებს და სავაჭრო მოთხოვნებს.

19 საბაზრო ღირებულების შეფასება

კომპანია აანალიზებს თავის აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც, საბაზრო ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფდება I-დან III დონის ჩათვლით იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ხერხდება მათი საბაზრო ღირებულების დადგენა.

ხსენებული დონეები ქვემოთაა აღწერილი:

- I დონე - საბაზრო ღირებულების შეფასება ხდება აქტიურ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების და ვალდებულებების ფასებიდან გამომდინარე (კორექტირების გარეშე);
- II დონე - აქტივის თუ ვალდებულების საბაზრო ღირებულების შეფასება ხდება I დონით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირდაპირი (მაგ. არსებული ფასები) ან არაპირდაპირი (მაგ. არსებული ფასებიდან გამომდინარე) საინფორმაციო წყაროების გამოყენებით;
- III დონე - აქტივის თუ ვალდებულების საბაზრო ღირებულების შეფასება ხდება სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც არაა დამოკიდებული განსაზღვრულ საბაზრო მონაცემებზე.

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა

2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, რომლების ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას საბაზრო ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა შეფასებაც ხდება ამორტიზირებული ფასით ხელმისაწვდომი საბაზრო ღირებულების პირობებში

კომპანიის ვარაუდით, საბანკო სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ საბაზრო ღირებულებას.

19.2 არასაფინანსო აქტივების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა

2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია არასაფინანსო აქტივები ან ვალდებულებები, რომლების ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას საბაზრო ღირებულებით. იმ არასაფინანსო აქტივებისთვის, რომელთა საბაზრო ღირებულება ცნობილია, საბაზრო ღირებულება განისაზღვრა III დონის შეფასების ტექნიკების გამოყენებით.

20 არასაკმარისი კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს ისე, რომ უზრუნველყოს განგრძობითი სამქიანობა და უზრუნველყოს აქციონერები საკმარისი უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგებას და დავალიანებებს, რომელშიც შედის შენიშნვა 10-ში ჩამოთვლილი სესხები.

კომპანიის მენეჯმენტი ახდენს კომპანიის კაპიტალური მოთხოვნების შეფასებას ზედმეტი ზეწოლის გარეშე დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურის შენარჩუნების მიზნით. ეს სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს კომპანიის კომპანიის ხელთ არსებული სხვადასხვა კლასის დავალიანებების სუბორდინაციის დონეს.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის სათანადოდ კორექტირებას ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების და აქტივებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების თუ კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია დააკორექტიროს მეწილეებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის კაპიტალი საანგარიშო პერიოდისთვის შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ვალუტა: ლარი	As of 31 December 2018	As of 31 December 2017
დადებითი სალდო	2,984,018	1,635,541
ფული სალაროში და ბანკში	(2,991,298)	(771,857)
კაპიტალი	(7,280)	863,684
სულ სალდო	2,984,018	1,635,541
სესხები	2,676,600	-
ჯამური დაფინანსება	5,660,618	1,635,541
კაპიტალის თანაფარდობა ჯამურ დაფინანსებასთან	(0.00)	0.53

2018 წელს თანაფარდობის შემცირება მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ახალი სესხების აღებით.

21 ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია რაიმე კაპიტალური ან შეუქცევადი საიჯარო ვალდებულებები (საწყობს და საოფისე ფართის მცირე ნაწილს კომპანია ქირაობს ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე). არ არსებობს რაიმე იურიდიული ვალდებულებებიც.

22 გაუთვალისწინებელი გარემოებები

22.1 ბიზნეს-გარემო

საქართველოში გრძელდება პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესი. საქართველოს როგორც მზარდ ბაზარს არ გააჩნია განვითარებული საქმიანი და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც სახეზეა უფრო მომწიფებულ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ გარემოში. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობები კვლავაც ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე საქმიანობის მასშტაბებს, რის შედეგადაც ფინანსური ბაზრები არ ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს სუსტი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარება, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზა, რეგიონების არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების მქონე ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან ფულადი სახსრების შემოდინების შემცირება, რაზეც საქართველო მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული. სასარგებლო წიაღისეულის საერთაშორისო ფასების შემდგომი შემცირებამ, გაურკვევლობამ პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების კუთხით, ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს და კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, ვინაიდან ამ გაურკვევლობაში ჩართული ცვალებადი ფაქტორების და დაშვებების

როდენობა დიდია, კომპანიის მენეჯმენტი ვერ ახერხებს იმის შეფასებას, თუ რა გავლენა ექნება არსებულ მდგომარეობას კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ პირობებში იგი სათანადო ზომებს იღებს კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

22.2 დაზღვევა

კომპანიას არ გააჩნია საოფისე ფართის და სასაწყობო მეურნეობის, სასაქონლო მარაგების დაზღვევა, საქმიანობის შეწყვეტის რისკის ან ქონების დაზიანებასთან ან დაკარგვასთან/განადგურებასთან დაკავშირებული მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა. მანამ, სანამ კომპანია არ უზრუნველყოფს სათანადო დაზღვევას, იარსებებს იმის რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა/განადგურება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ პოზიციაზე.

22.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ცვალებადი საკანონმდებლო ბაზით, რომელიც ხშირად იწვევს განსხვავებულ ინტერპრეტაციების არსებობას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადების შეფასება და მოკვლევები ევალება საგადასახადო ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან დააწესონ მკაცრი სანქციები და ჯარიმები.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული საგადასახადო რისკი შეიძლება გაცილებით უფრო მაღალი იყოს, ვიდრე სხვა, განვითარებულ ქვეყნებში. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს საგადასახადო კანონმდებლობის მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაცია, და ამ განსხვავებულობას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს.

23 ფინანსური აქტივობიდან წარმოშობილი ვალდებულებების დაფარვა

კომპანიის ფინანსური აქტივობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ვალუტა: ლარი	მოკლედ- ვადიანი სესხები	ჯამი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
<i>ფულადი სახსრების მოძრაობა</i>		
შემოსულობები	6,368,065	6,368,065
დავალიანებების დაფარვა	(3,877,068)	(3,877,068)
პროცენტის გადახდა	(111,952)	(111,952)
<i>არაფულადი სახსრების მოძრაობა</i>		
ინტერესის დარიცხვა	111,952	111,952
სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეული ზარალი	185,603	185,603
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>2,676,600</u>	<u>2,676,600</u>

24 დაკავშირებული მხარეები

კომპანიასთან დაკავშირებული მხარეები არიან მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები და აღმასრულებელი მენეჯმენტი.

24.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს იგორ პერევერზევი, უკრაინის მოქალაქე, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 61.2%-ს.

24.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და საანგარიშო თარიღის მონაცემებით ერიცხება შემდეგი ნაშთები:

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრ. წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრ. წელი
ოპერაციები		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები</i>		
საქონლის რეალიზაცია	4,970,248	2,046,896
გაცემული სესხი	737,355	656,450
საქონლის და ნედლეულის შეძენა	30,828,419	17,016,110
დაბრუნებული სესხი	737,355	656,450
<i>ძირითადი მენეჯმენტი</i>		
ხელფასები და ბონუსები	420,488	320,440

ვალუტა: ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ.	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ.
არსებული ნაშთი		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,360,086	706,804
მომწოდებლებთან და სხვა პირებთან ანგარიშსწორება	4,516,773	3,849,092

საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები წარმოადგენენ ევროპის და დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებში MUK-ის ბრენდით დაარსებულ და მომუშავე კომერციულ საწარმოებს.

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება ხდება საერთო სახელფასო უწყისების საფუძველზე.

როგორც 2018 წლის 31 დეკემბრის, ისე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორები და მათი ოჯახის წევრები არ ფლობენ შპს MUK-Tbilisi-ს აქციების მნიშვნელოვან რაოდენობას.